<u>პროექტი</u>

საქართველოს პარლამენტის რეგლამენტში ცვლილებისა და დამატების შეტანის შესახებ

მუხლი 1. „საქართველოს პარლამენტის რეგლამენტში“ (საქართველოს საკანონ,დებლო მაცნე №8, 25.03.2004, მუხ. 38) შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილება და დამატება:

1). 149-ე მუხლს დაემატოს შემდეგი შინაარსის მე-7 პუნქტი:

7· საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის მე-7 მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული საქართველოს პარლამენტის წევრის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის შემთხვაში, მათ მიერ საკანონმდებლო ინიციატივის წესით წარმოდგენილი კანონპროექტები ჩაითვალოს უარყოფილად, რის შესახებაც წამყვანი კომიტეტი აცნობებს პარლამენტის ბიუროს. აღნიშნული ფორმდება საოქმო ჩანაწერით.

2). 272-ე მუხლის მე-3 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

3. ამ რეგლამენტის 149-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ე“ ქვეპუნქტი ამოქმედდეს 2013 წლის 1 იანვრიდან.

მუხლი 2. ეს რეგლამენტი ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს პარლამენტის
თავმჯდომარე დავით ბაქრაძე